კონკურსი „აღმოაჩინე და გააცანი“

☛ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, სპორტის და ტურიზმის განვითარების სამსახური და „სტუდენტურ-ახალგაზრდული სათათბირო“ აცხადებს კონკურსს!!!“

☛ კონკურსის მიზანია გურიის ტურისტული პოტენციალის ამაღლება და პოპულარიზაცია, უცხოელი და ქართველი ტურისტების მოზიდვა და მათთვის ჩვენი მხარის გაცნობა, მხარის მოსახლეობის და ახალგაზრდების ამ პროცესებში აქტიურად ჩართულობის ხელშეწყობა.

☛ „აღმოაჩინე და გააცანი“-ს ფარგლებში კონკურსანტებმა უნდა მოამზადონ და განსახილველად წარმოადგინონ მზა ტურები, რომლის თემატიკა ორიენტირებული უნდა იყოს გურიის მხარის სოფლის/თემის/ქალაქის ღირსშესანიშნაობებსა და ტურისტისთვის საინტერესო შემეცნებით, გასართობ და დასასვენებელ ადგილებზე, როგორიც შეიძლება იყოს:

- კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები: არქეოლოგიური, არქიტექტურული, სახვითი ხელოვნების, მემორიალური, ეთნოგრაფიული;
- სოფელში/თემში/ქალაქში/მხარეში მცხოვრები გამოჩენილი/კოლორიტი ადამიანების შესახებ;
- სამხატვრო გალერეები, თეატრები და მუზეუმები;
- კულტურული ღონისძიებები, ფესტივალები,რელიგიური, სახალხო დღესასწაულები;
- ტრადიციული სამზარეულო, ტრადიციები, ფოლკლორი, არქეოლოგიური საგანძურები, ხალხური რეწვის კერები;
- ბუნების საოცრებები, ლამაზი პეიზაჟები, მდინარე, ტბა, ჩანჩქერი - ადგილები უბრალოდ კარვების გასაშლელად და პიკნიკის გასამართავად;
- ნებისმიერისხვა თემები, რომლებიც,კონკურსანტის აზრით, ხელს შეუწყობს უცხოელი და ქართველი ტურისტების მოზიდვას.

☛ კონკურსზე წარმოდგენილ ტურში ასახული უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია: დაგეგმილი მარშრუტის რეზიუმე და ჩამონათვალი თუ რას ნახავენ ტურისტები ამ მარშრუტის განმავლობაში; მარშუტის ხანგრძლივობა, გასვლის და უკან დაბრუნების დრო და ადგილი;ტურის დროს კვების საკითხი (გასათვალისწინებელია, რომ ტურისტებს შორის შეიძლება იყოს ვეგეტარიანელი); თუ ეს ორ ან მეტ დღიანი ტურია: დაბინავება და კვების საკითხი;ინფორმაცია ტურის განმავლობაში დაგეგმილი ძირითადი/დამატებითი მომსახურება/სერვისის შესახებ (მაგალითად: ცხენებით გასეირნება, თევზის დაჭერა, ჩურჩხელის ამოვლება და ა.შ.); წინასწარი დეტალური გათვლა თუ რა ხარჯებს უკავშირდება ტურის მოწყობა და ტურის საფასური თითო მონაწილეზე: მგზავრობის ხარჯი, კვების ხარჯი, დაბინავების ხარჯი, დამატებითი მომსახურების ხარჯი და ა.შ.

- კონკურსანტს შეუძლია დამატებით წარმოადგინოს ნებისმიერი სახის ფოტო/ვიდეო/დოკუმენტური მასალა, რომელსაც ის თავად ჩათვლის საჭიროდ.
- კონკურსში მონაწილეობა შესაძლებელია როგორც ინდივიდუალურად, ასევე რამდენიმე წევრისაგან დაკომპლექტებული ჯგუფის სახით. მონაწილეების ასაკობრივი ზღვარი არ არის ლიმიტირებული.
- ტური შეიძლება იყოს როგორც ერთდღიანი, ასევე 2-3 ან/და მეტ დღიანი.
- კონკურსზე წარმოდგენილი ტურები შეიძლება იყოს ორიენტირებული სხვადასხვა

სეზონის განმავლობაში ჩატარებაზე.

☛ საკონკურსო ნამუშევრები გამოგზავნილი უნდა იქნას ელექტრონულ მისამართებზე: mr.tsuladze@gmail.com ან/და syc_guria@yahoo.com, შესაძლებელია მათი ჩაბარება მისამართზე: ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის N3, „სტუდენტურ-ახალგაზრდული სათათბირო“.

ნამუშევრების წარდგენის ბოლო ვადა არის 2016 წლის 17 ივლისი.

☛ გამარჯვებულები დაჯილდოვდებიან ფასიანი საჩუქრებით,„სტუდენტურ-ახალგაზრდული სათათბირო“ უზრუნველყოფს გამარჯვებული ტურების შესახებ საინფორმაციო მასალების გამოცემას და ინფორმაციის გავრცელებას.გამარჯვებული ტურების ავტორებთან გაფორმდება ხელშეკრულება,რომლის ფარგლებში ისინი უზრუნველყოფენ ჩვენი მხარის უცხოელი და ქართველი ტურისტების მომსახურებას.